დიმიტრი სიჭინავას ლექციები კორპუსის ლინგვისტიკის საკითხებზე

მიმდინარე წლის 28 – 30 მაისს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვევით უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორებისათვის ლექციების ციკლს **კორპუსის ლინგვისტიკის საკითხებზე** წაიკითხავს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის უკრაინული ენის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, **დიმიტრი სიჭინავა.**

1. კორპუსის ლინგვისტიკის განვითარება ევროპის ქვეყნებში: თანამედროვე მიმართულებები;
2. ევროპული ენების პარალელური კორპუსები;
3. კორპუსის ლინგვისტიკის განვითარება პოსტ-საბჭოთა სივრცეში;
4. ელექტრონული კორპუსები და ლექსიკოგრაფია;
5. გრამატიკული კვლევები კორპუსის მასალაზე.

დიმიტრი სიჭინავა ამ დარგის გამოცდილი სპეციალისტია. იგი უშუალოდ მონაწილეობდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ელექტრონული კორპუსის შექმნაში. ამჟამად მუშაობს უკრაინული ენის კორპუსზე.

ლექციებზე დასწრება თავისუფალია. მსურველებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროს სპეციალისტთან, გიული შაბაშვილთან, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: giuli.shabashvili@tsu.ge

ლექციების ჩატარების განრიგი:

ლექციი ჩატარების დრო	ლექციის თემა	ჩატარების ადგილი
28.05.2012 13.00 - 14.00	კორპუსის ლინგვისტიკის განვითარება ევროპის ქვეყნებში: თანამედროვე მიმართულებები	ჭაჭავაძის გამზ. 36 თსუ V კორპუსი აუდიტორია N 313
29.05.2012 16.00 - 17.30	ევროპული ენების პარალელური კორპუსები; კორპუსის ლინგვისტიკის განვითარება პოსტ-საბჭოთა სივრცეში	ჭაჭავაძის გამზ. 36 თსუ V კორპუსი აუდიტორია N 313
30.05.2012 15.00 – 16.30	ელექტრონული კორპუსები და ლექსიკოგრაფია; გრამატიკული კვლევები კორპუსის მასალაზე	ჭაჭავაძის გამზ. 36 თსუ V კორპუსი აუდიტორია N 313

კორპუსის ლინგვისტიკისა და ელექტრონული კორპუსების განვითარება

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, კომპიუტერმა და კომპიუტერიზებული რესურსების შექმნამ გადატრიალება მოახდინა ლექსიკოგრაფიაში. „ ... უკვე მრავლად არის იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ენობრივი ფაქტები, რომლებიც არაერთი საუკუნის განმავლობაში ენის კვლევის მიუხედავად, არსად არ არის რეგისტრირებული ... მეორე მხრივ, ენობრივი მოვლენები, რომლებსაც რეგულარულად გვთავაზობენ, როგორც ინგლისური ენის ფუნქციონირების ნორმას, ფაქტობრივი მონაცემებით არასაკმარისად დასტურდება“, წერდა 1985 წელს ჯონ სინკლერი.

პირველი კომპიუტერული კორპუსი, ე.წ. ბრაუნის კორპუსი, აშშ-ში შეიქმნა (აშშ, ბრაუნის უნივერსიტეტი). მისი შემქმნელების, კორპუსის ლინგვისტიკის პიონერების ბ. ნელსონ ფრენსისისა და ჰენრი კუჩერას ნაშრომებმა გზა გაუხსნა და მაგალითი მისცა ელექტრონული კორპუსის სხვა შემქმნელებს.

ბრაუნის კორპუსის უშუალო მემკვიდრეა **LOB** (ლანკასტერ-ოსლო-ბერგენი) **კორპუსი** – ბრაუნის კორპუსის „ბრიტანული ასლი“, რომლის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ჯეფრი ლიჩს. ამას მოჰყვა **BNC** – ბრიტანული ნაციონალური კორპუსი, ბრიტანული კორპუსის მაგალითზე შეიქმნა ამერიკული ნაციონალური კორპუსი. ინგლისურენოვანი კორპუსების პარალელურად ევროპისა და აზიის მრავალ ენაზე იქმნება სხვადასხვა მოცულობისა და სპეციფიკის კორპუსები.

პირველი კომპიუტერული რესურსები ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩენად იქცა, რამაც განსაზღვრა ელექტრონული კორპუსების სწრაფი განვითარება, მათი ძირითად წყაროებად გამოყენება როგორც ენების კვლევის, ისე ლექსიკონების შექმნის პროცესში.

დღეისათვის უკვე არსებობს მრავალი ენის ნაციონალური კორპუსი, არსებობს პერიოდული გამოცემები (International Journal of Corpus Linguistics; Corpora; Corpus Linguistics and Linguistic Theory; ICAME Journal).

ერთენოვანი ელექტრონული კორპუსების კვალდაკვალ ჩნდება ორენოვანი ელექტრონული კორპუსები: ტერმინოლოგიური პარალელური ტექსტების კორპუსები (იურიდიული, ტექნიკური, სამედიცინო და სხვა); მხატვრული ლიტერატურის პარალელური კორპუსები - გერმანულ-ინგლისური, ფრანგულ-გერმანული, იტალიურ-ინგლისური, რუსულ-ინგლისური და სხვა.